ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 37

20.12.2019
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 20 დეკემბერს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -**გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (20.12.2019, 12-031935379-03)* (მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე** *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი*)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიას მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, მიმდინარე წელს ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსულობების გადაჭარბებით შესრულებით, რაც ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში არაფინანსური აქტივების კლების გეგმის 5 976,9 ათასი ლარით გაზრდას. ასევე, წარმოდგენილი პროექტით მცირდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების გეგმა 360,9 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 5 616,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 106 066,8 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სოციალური ღონისძიებები, გზების მშენებლობა და აღდგენა რაიონებში, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში, გარემოს დაცვა და განათლება, სპორტი და ახლგაზრდობა.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.0

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე